# სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ




MDF
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ

ავტორი: სოფო გელავა

მედიის განვითარების ფონდი, 2019

WWW.MDFGEORGIA.GE

## შესავალი

წინამდებარე მონიტორინგი “მედიის განვითარების ფონდმა” (MDF) სოციალურ ქსელებში თიბისი ბანკის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის და ამ კამპანიის წყაროების იდენტიფიცირების მიზნით განახორციელა. თიბისი ბანკის გარშემო მიმდინარე გამოძიების პარალელურად ფეისბუკზე თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თამვდჯომარის მამუკა ხაზარაძის მადისკრედიტირებელი პოსტები გამოჩნდა და სამ ტალღად წარიმართა:

1. პირველი ტალღა 2019 წლის 9 იანვარს დაიწყო, როდესაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ თიბისი ბანკთან დაკავშირებით გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ე.წ. ფულის გათეთრების ფაქტზე მიმდინარეობდა[1].
2. მეორე ტალღა უკავშირდება 2019 წლის 14 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნას[2], რომ მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს ბადრი ჯაფარიძეს თანამდებობა დაეტოვებინათ.
3. მესამე ტალღა 2019 წლის 21 თებერვალს დაიწყო, როდესაც მამუკა ხაზარაძემ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან წასვლის გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა.

დაკვირვების საგანი იყო ის ფეისბუკ გვერდები, რომლებიც 9 იანვრიდან 21 თებერვლის პერიოდში მამუკა ხაზარაძის მადისკრედიტირებელ პოსტებს აქვეყნებდნენ. პირველადი დაკვირვების შედეგად შევადგინეთ მთავარი საძიებო სიტყვების (keywords) სია, რომელთა გამოყენებითაც მადისკრედიტირებელ პოსტებს ფეისბუკის საძიებო სისტემის გამოყენებით ვეძებდით. ძიების შედეგად გამოვლენილი გვერდებისა და მათი ადმინისტრატორების პროფილები სხვადასხვა ღია რესურსების გამოყენებით გაანალიზდა.

---

[1] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1943
[2] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3588&lng=geo

## მთავარი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- ➔ მონიტორინგის ფარგლებში მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ კამპანიაში ჩართული 9 გვერდის იდენტიფიცირება მოხდა, რომელთაგან 8 გვერდი 2018 წელსაა შექმნილი.
- ➔ 9-დან 6 გვერდის ძირითადი კონტენტი ენმ-ის და რუსთავი 2-ის, კერძოდ კი ნიკა გვარამიას და გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ არის მიმართული;
- ➔ 9-დან 4 გვერდის ადმინისტრატოტი ფეისბუკ მომხმარებელი "ავთანდილ კერესელიძეა", რომელიც ტროლია და ერევანში მცხოვრები Karo Manukyan-ის პროფილზე განთავსებულ ფოტოებს იყენებს. ის ფეისბუკში ხელისუფლების მხარდამჭერ გზავნილებს ავრცელებს;
- ➔ "ავთანდილ კერესელიძე" და მის მიერ მართული გვერდები სხვა ყალბ ანგარიშებთან ერთად ამავდროულად იდენტურ ჯგუფებს მართავენ, რაც მადისკრედიტირებელი პოსტების გავრცელებისთვის გამოიყენება;
- ➔ "ავთანდილ კერესელიძე" პრო-სახელისუფლებო ტროლია და ძირითადად კახა კალაძის, მამუკა ბახტაძისა და გიორგი გახარიას მხარდამჭერ პოსტებს პირადი პროფილის, მის მიერ შექმნილი გვერდებისა და ჯგუფების მეშვეობით ავრცელებს:
- ➔ "კერესელიძის" მართული გვერდების მიერ გამოქვეყნებული პოსტების ქვეშ, რომლებიც ხაზარაძის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული, კომენტარებს ერთი და იგივე ყალბი მომხმარებლები ტოვებდნენ;
- ➔ 9-დან ორი გვერდი - "ორი გვამი უნდათ" და "სტოკჰოლმის სინდრომი" ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) მიერ მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც გვერდები, რომლებიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ენმ-ის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ დასპონსორებულ პოსტებს აქვეყნებდნენ.
- ➔ 9-დან 2 გვერდს - "სამოქალაქო გაერთიანება - ხალხის ხმა" და"სტოკჰოლმის სინდრომი" - ხაზარაძის მადისკრედიტირებელი პოსტები დასპონსორებული ჰქონდათ, თუმცა ამჟამად ეს პოსტები ხელმიუწვდომელია, რადგან წაშლილია. ორივე გვერდს ჯამში 3 აქტიური დასპონსორებული პოსტი აქვს. სამივე მათგანი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არის მიმართული. ორივე გვერდმა 21 თებერვალს ხაზარაძის გადადგომის შემდეგ მის წინააღმდეგ ორი ახალი პოსტი გამოაქვეყნა.
- ➔ გვერდებზე განთავსებული ხაზარაძის მადისკრედიტირებელი პოსტების უმეტესობა მემე/კარიკატურაა.

## ფეისბუქ გვერდები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა 9 გვერდი, რომლებიც მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ მადისკრედიტირებელი შინაარსის პოსტებს სისტემატურად ავრცლებდნენ. ეს გვერდებია:

| გვერდის სახელი | შექმნის თარიღი |
|---|---|
| ორი გვარმი უნდათ | 15.11.2018 |
| იყავი და გაგეკეთებინა | 02.03.2018 |
| პოლიტიკური სანაგვე | 27.06.2018 |
| კაი გვერდი | 30.10.2014 |
| ჩვენთვის არავინაა | 02.03.2018 |
| პოლიტიკური იუმორი | 25.09.2018 |
| მოვკვდები საქართველოსთვის | 15.06.2018 |
| სამოქალაქო გაერთიანება - ხალხის ხმა | 06.07.2018 |
| სტოკჰოლმის სინდრომი | 06.07.2018 |

ამ გვერდების უმეტესობა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა” და რუსთავი 2-ის წინააღმდეგ არის მიმართული. ISFED-ის მიერ ჩატარებულმა სოციალური მედიის მონიტორინგმა კი აჩვენა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გვერდებიდან 2 გვერდი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საპრეზიდენტო კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის დისკრედიტაციაში იყო აქტიურად ჩართული[3].

## იდენტური პოსტები, იდენტური ტროლები

ხაზარაძის მადისკრედიტირებელი პოსტების უმეტესობა მემე/კარიკატურაა. აღსანიშნავია, რომ იდენტიფიცირებული გვერდები იდენტურ პოსტებს, ძირითადად იმავე დღეს ან 1 დღის შუალედში აქვეყნებდნენ.

[3] ISFED, 20 დეკემბერი, სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში http://www.isfed.ge/geo/news/sotsialuri-mediis-monitoringi-meore-shualeduri-angarishi


ორი გვამი უნდათ
January 11
გაიცანით მამუკა ხაზარაძე !
საქართველოს ყველაზე დიდი მევახშე !
1 დღეში მოპოვებული 16.600.000$
მსოფლიოს ყველაზე დიდი ფინანსური მაქინაცია


ჩვენთვის არავინაა
January 10
ხალხი ღატაკდება ეს ნაგავი კიდე მილიონებს აკეთებს
1 დღეში მოპოვებული 16.600.000$
მსოფლიოს ყველაზე დიდი ფინანსური მაქინაცია


ორი გვამი უნდათ
January 9
TBC ბანკის მეწილეებმა მამუკა ხაზარაძე ბანკიდან 16.6 მილიონი დოლარის მოპარვის გამო კომპანიიდან გააძევეს
მამუკა ხაზარაძემ 45 მლნ ლარის ღირებულების ანაბრები ერთ დღეში მოიპარა
1234 56 9012 3456
6/15
NAME


ჩვენთვის არავინაა
January 9
ეს კაცი დამნაშავეა !
ხალხის ფულები არავის უნდა შერჩეს , ამისთანა არამზადები ყველა ციხეში !
მამუკა ხაზარაძემ საკუთარ ბანკს ერთ დღეში 45 მლნ ლარზე მეტი მოპარა
1234 56 9012 3456
6/15
NAME







ხაზარაძის მადისკრედიტირებელი პოსტების ქვეშ ერთი და იგივე ყალბი ანგარიშები ტოვებდნენ კომენტარს. ხშირ შემთხვევაში კი სხვადასხვა გვერდის სხვადასხვა პოსტის ქვეშ კომენტარებიც იდენტური იყო.





ზვიად კორძაძე
მამუკა ხაზარაძის ადვოკატის თქმით, თი-ბი-სი ბანკიდან გამოტანილი 80 მილიონი ხაზარაძეს შემთხვევით შემოეხარჯა
Like · Reply · 5w
Tamriko Kokrashvili ერთი მილიონი რომ გამოვიტანო ტიბისიდან და შემთხვევით შემომეხარჯოს ხომ არაფერს მეტყვის ხაზარაძე?😄😄😀
Like · Reply · 5w
ზაზა მუმლაძე ჭირდებოდა ისე ხომარ დაუხარჯია,რას ერჩით.
Like · Reply · 5w
1 Reply
Zaza Chachxiani Mamuka xazaradzis mevaxshe ojaxs chavtxare arabebi trakshi!
საქართველოს საბანკო სექტორი
Like · Reply · 5w
Busxrikidze Temo Ra kargia 80milioni shemtxvevit shemoxarjva.. Daabrunebion ukan yvela tanxa da naxavs mere shromit mopovebuls ra simcarec axlavc.😡😡😡 😡Dampali
Write a comment...




რა ტი არა და როგორი ალალი წარბები აქვს (( ზებრისებრი .
Like · Reply · 5w
Zaza Chachxiani Mamuka xazaradzis mevaxshe ojaxs chavtxare arabebi trakshi!!!
საქართველოს საბანკო სექტორი
Like · Reply · 5w
Lia Ivanidi TBC bankii lideriaaa da liderad darchebaaa, ramdenic ar unda ibodilaot da shavi piari augorot
Like · Reply · 5w


მამუკა ხაზარაძემ 45 მლნ
ლარის ღირებულების ანაბრები
ერთ დღეში მოიპარა
Like · Reply · 5w
Budu Katsadze დაიწყო ბოზური პროპაგანდა. სუსი ხარ ოცნებიდან ხარ თუ ვინცხარ ამის სათავეში მოგიტყან ოჯახი ასეთ ყლეობებს ვინც იჯერებს კიდე იმათ რა ვუთხრა არ ვიცი უბრალოდ ტვინი გაამრიეთ
Like · Reply · 5w
Kukaracha Kukaracha ხაზარაძეც შენ ოჯახს შესცეს ჯლომა შე სატანაც
Like · Reply · 5w
Lili Kobaxidze რით ვერ გაძღა
Like · Reply · 5w
Dato Tsereteli Твени Цолеби Давткани Вер Гадзехит Горебо Могиткант Галстуки Да Ганатлеба
Like · Reply · 5w
Zaira Inasaridze ხალხს ატყავებდა,წუთს არ პატიობდა მათხოვარი და მხოლოდ გაძღება?
Like · Reply · 5w
Oto Kuchava კაი მადა ქონია ანაბარა მამუკას
Like · Reply · 5w
Vika Gedevanishvili შოკში ვარ...... ვის ხელშია ხალხის ფულიიიიიი
Like · Reply · 5w
1 Reply
Write a comment...


პოლიტიკური სანაგვე / Politikuri Sanagve
2 hrs
რუსთავი 2 რა საზიზღარია
ამ მევახშის საზიზღრობაზე აღარაფერს ვამბობ
LIVE
18:09
41
5 Comments 15 Shares 7.4K Views
Like
Comment
Share
Most Relevant
Write a comment...
Oto Kuchava მევახშეთა პარპაში უნდა დამთავრდეს ამ ქვეყანაში! გაანადგურეს ხალხი!
Like · Reply · 1h


როგორ მოვიპაროთ
მილიონი
ორი გვამი უნდათ
Like This Page · January 10
როგორ მოვიპაროთ მილიონები ხაზარაძესთან ერთად
109
10 Comments 11 Shares
Like
Comment
Share
All Comments
Kukaracha Kukaracha ხაზარაძეს შესცა ჯლომა საყლაპავში
Like · Reply · 5w
Rusudan Abuladze ო' ტული უკვეთქსია...
Like · Reply · 5w
Jimi Morisoni პარტი პიტერ ო, ტული?
Like · Reply · 5w
Write a comment...

## ვინ მართავს გვერდებს, რომლებიც ხაზარაძის მადისკრედიტებელ პოსტებს აქვეყნებდნენ?

ფეისბუქის მომხარებელი Avtandil Kereselidze ზემოთ ჩამოთვლილი 9 გვერდიდან 4-ის ადმინისტრატორია. ეს გვერდებია:

1. იყავი და გაგეკეთებინა
2. პოლიტიკური სანაგვე
3. ჩვენთვის არავინაა
4. მოვკვდები საქართველოსთვის

კიდევ ერთი გვერდის “პოლიტიკური იუმორის” კავშირები ავთანდილ კერესელიძის მიერ მართულ ჯგუფებთან გვაფიქრებინებს, რომ “პოლიტიკური იუმორის” ადმინისტრატორიც კერესელიძეა.












ჩამოთვლილთაგან 2 გვერდს, კერესელიძე კიდევ ორ მომხმარებელთან Temo Davitadze-სა და ოლეგი გებონიასთან ერთად მართავს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ორივე მომხმარებელი ტროლია და ისინი რეალური პიროვნებები არ არიან.

კერესელიძის მართული გვერდები ერთი და იმავე ჯგუფებთან არის დაკავშირებული, რომლებშიც ფეისბუქის ათასობით მომხმარებელია გაწევრიანებული. ამ ჯგუფებსაც ერთი და იგივე ანგარიშები მართავენ, მათ შორის არის ავთანდილ კერესელიძეც. ყველაზე დიდი ჯგუფი არის "ახალი ამბები", რომელშიც 230 000-ზე მეტი ადამიანია გაწევრიანებული.




ახალი ამბები
Public group
About
Discussion
Members
Events
Videos
Photos
Files
Search this group
Admins and Moderators 10
Salome Nozadze
Admin
View 13 recent posts
Georgian Technical University
Add Friend
Avtandil Kereselidze
Admin
View 2 recent posts
Language Center Albion Nikopol
Add Friend
ოლეგი გებონია
Admin
View 15+ recent posts
Manager at Silknet - სილქნეტი
Add Friend
Oto Kuchava
Admin
View 3 recent posts
Tbilisi, Georgia
Add Friend
იყავი და გაგეკეთებინა • Ikavi da Gageketebina
Admin
Community · 24,913 people like this.
ჩვენთვის არავინაა
Admin
Community · 2,963 people like this.
Interpressnet
Admin
News & Media Website · 27 people like this.
პოლიტიკური სანაგვე / Politikuri Sanagve
Admin
Community · 8,300 people like this.
სოლოლაკის კარის თამაშები
Admin
Political Organization · 1,650 people like this.
პოლიტიკური იუმორი
Admin
Journalist · 2,320 people like this.

## Avtandil Kereselidze - რეალური პიროვნება თუ სახელისუფლებო ტროლი?

ავთანდილ კერესელიძის ფეისბუქ ანგარიშის მახასიათებლები ადასტურებს, რომ ის ყალბი ანგარიშია და რეალური პიროვნება არ არის.

კლასიკური ტროლისგან განსხვავებით ავთანდილ კერესელიძის პროფილი არა ერთ პირად ფოტოს მოიცავს, რაც ქმნის განცდას, რომ ის რეალური პიროვნებაა. მისი თაიმლაინიდან ჩანს აქტივობები და მისი პირადი ინტერესები, როგორიცაა მაგალითად ე.წ. ჩექ-ინები გერმანიაში, პოსტები შთაბეჭდილებების შესახებ. მისი ფოტოებს ასევე ახლავს აღწერები. ერთ-ერთი ფოტოზე, რომელიც კერესელიძეს პირად ფოტოებში აქვს ატვირთული, ჩანს წარწერა Schüco, რაც ფანჯრებისა და კარების სისტემების გერმანულ კომპანიას წარმოადგენს. კერესელიძის მიერ ატვირთული სხვა ფოტოების yandex.people-ში გადამოწმებით, საძიებო სისტემამ იდენტური ფოტოები სხვადასხვა რუსულ გაცნობით პლატფორმებზე იპოვნა. ერთ-ერთ პლატფორმაზე კი მითითებული იყო, რომ ფოტო მომხმარებელს Karo Manukyan-ს ეკუთვნის, რომელიც ერევანში ცხოვრობს.









ამის შემდეგ Karo Manukyan-ის პროფილი ფეისბუკში მოვიძიეთ. აღმოჩნდა, რომ ფოტოები, რომლებსაც ტროლი ავთანდილ კერესელიძე თავისად ასაღებდა, კარო მანუკიანს ეკუთვნის. მის შესახებ განყოფილებაში კი კარო მანუკიანს მითითებული აქვს, რომ გერმანულ კომპანიაში “Schüco” ტექნიკურ კონსულტანტად და სპეციალისტად მუშაობს.



**Avtandil Kereselidze**
February 8 at 4:01 PM ·

ხანდახან ისე ვიღლები ყველაფრისგან აქ ამოვდივარ ხოლმე მარტო, ქალაქს ვუყურებ და ვფიქრობ ❤️



101 · 6 Comments

**Karo Manukyan** added a new photo — in Tbilisi, Georgia.
November 21, 2014 ·



12

**Avtandil Kereselidze**
September 15, 2018 ·

თავისუფალ დროს მუდამ წიგნების კითხვაში 🙂



37

**Karo Manukyan** added a new photo — at The LOFT.
March 14, 2015 · Yerevan, Armenia ·



19 · 2 Comments

ავთანდილ კერესელიძის ყალბი პროფილი სოციალურ ქსელებში პრო-სახელისუფლებო გზავნილების გავრცელებით არის დაკავებული და ამავდროულად "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მადისკრედიტირებელ პოსტებს აქვეყნებს. გზავნილების გასავრცელებლად ის მისივე მართულ "სპამ" ჯგუფებს იყენებს, ასევე კომენტარებს ტოვებს იმ გვერდების პოსტების ქვეშ, რომელთა ადმინისტრატორი თავადვეა.



Avtandil Kereselidze shared a photo to the group: კახა კალაძე თბილისის მერი.

January 24 at 7:55 PM ·

რა მაგარი მერი გვყავს ❤️

კახი არ დაუშვებს სასტუმროს მშენებლობას

გთხოვთ გავაზიაროთ და ვანახოთ ხალხს სიმართლე ❤️




იყავი და გაგეკეთებინა • Ikavi da Gageketebina

January 24 at 7:53 PM ·

Like Page

ძაან ჯიგარია კახი , ასეც უნდა იყოს

376

32 Comments 45 Shares



პოლიტიკური სანაგვე / Politikuri Sanagve

Like Page

December 21, 2018 at 6:25 PM

გახარიასთვის ავტორიტეტები არ არსებობენ !
ვინც პროვოკაციებზე წავა არავის დავინდობო ასეთი მესიჯი მიუვიდათ ნაცებს !

ძალიან კარგია , ტრაკს დააყენებენ ნაცები !

გიორგი გახარიას მოსმენა პარლამენტში

LIVE 17:11

350 · 44 Comments · 169 Shares · 29K Views

Like · Comment · Share

Most Relevant

Write a comment...

**Neko Neliko** ძლივს არ გვეღირსა ცოდვა მადლის გამრჩევიდა რაც მთავარია პრინციპული მინისტრი. ყოჩაღ ბატონო მინისტრო.👍👍👍

23

Like · Reply · 8w

2 Replies

**Avtandil Kereselidze** პირველი მინისტრია ვინც ნაცებს არ ეფერება მგონი : )))

24

Like · Reply · 8w

3 Replies

**ირაკლი კობახიძე / Irakli Kobakhidze**
January 29 at 2:31 PM ·

Like Page

პირადი ჩანაწერების ამსახველი ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება ამორალურია.

საქმე ეხება პარლამენტის წევრს, აქედან გამომდინარე, ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის პირადი პასუხისმგებლობაა, ჩავყვე ამ საქმეს ბოლომდე, იმისათვის, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ზედმიწევნით გამოიკვლიონ ყველაფერი.




720 57 Comments 42 Shares

Like Comment Share

Most Relevant

Write a comment...

**Avtandil Kereselidze** ასეთი პასუხისმგებლიანი განცხადება მართლაც სასიამოვნოა , გაიხარეთ...
Like · Reply · 3w 21

**Avtandil Kereselidze**
November 28, 2018 ·

ნახუი გრიშა, ნახუი მიშა

გილოცავთ მეგობრებო, ფაშისტები კიდევ ერთხელ დავანარცხეთ მიწაზე !




136 19 Comments 5 Shares

## მადისკრედიტირებელი პოსტების გავრცელების სქემა

მადისკრედიტირებელი პოსტების გავრცელებისათვის ყალბი ანგარიშები, იგივე ტროლები, ფეისბუკ გვერდებს ქმნიან, რომელსაც ათასობით გამომწერი ჰყავს. პარალელურად, იგივე გვერდები და ამ გვერდების ადმინისტრატორები ქმნიან ე.წ. სპამ ჯგუფებს, რომლებშიც ფეისბუკის ათასობით მომხმარებბელია გაწევრიანებული. ეს ჯგუფები გვერდების მიერ გამოქვეყნებული მადისკრედიტირებელი პოსტების გასავრცელებლად და აუდიტორიის გაზრდისათვის გამოიყენება. როგორც წესი, ასეთი პოსტების ქვეშ გევრდების ადმინისტრატორები ყალბი ანგარიშებით, ასევე სხვა ტროლები ტოვებენ კომენტარებს და ქმნიან ილუზიას, რომ მათ პოსტებს ფეისბკუში დისკუსია მოჰყვა.








სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ
ჩვენთვის არავინაა
ChventvisAravinaa
პოლიტიკური
სანაგვე / Politikuri
Avtandil Kereselidze
ადმინისტრატორი
იყავი და
გაგაკეთებინა
მოკვდები
საქართველოსთვის
- Movkvdebi
Sakartvelo
ური გვამი უნდათ
კაი გვერდი
@kaiGverdia
Karo Manukyan
Project Engineer, Technical consultant,
Technical Specialist at Schüco
პოლიტიკური
იუმორი
სამოქალაქო
გაერთიანება -
ხალხის ხმა
@samokalako.gaertianeba
ხალხის ხმა
Stockholm
syndrome
სტოკჰოლმის
სინდრომი
MDF
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION